თამარის საფლავის გამო

ღია წერილი

„სახალხო ფურცელის“ N257 (1915 წ.) წავიკითხე ბ. ფ. სხვიტორელის წერილი: „თამარის საფლავი“. პატივცემულ ავტორის მოყვანილი ცნობები მე ადრე მაქვს მწერლობაში აღნიშნული, თუმცა ისე დასაბუთებული არა, როგორც ბ. სხვიტორელს; მას უკვე ხელთ უგდია წერილობითი საბუთი, დოკუმენტი თამარის საფლავის არსებობისა ფშავში, რაც მე დიდი ხანია მწამს და მჯერა და არა დროს არ ვეთანხმებოდი ჩვენი მემატიანის ცნობას, ვითომცდა თამარის სავანე გელათში იყოს. მოხარული ვარ, რომ ჩემი აპრიორული მსჯელობა და ფიქრები ფაქტებით მტკიცდება, ეს ძალიან კარგი, ხოლო ამ წერილის მიზანი სრულიად სხვაა და არა იმის დამტკიცება, რომ თამარის საფლავი მართლა ფშავშია.

მაგალითად რა ? რა და ისა, ბატონებო, რომ იმავე სიგელის წყალობით, რომელიც შაეხება თამარის საფლავს, მღვ. ფარნაოზ ზაბახიძემ აღმოაჩინა, პოვნა მიწაში დაფლული სამი ჯვარი, როგორც პირადად მიამბო პატივცემულმა შუაფხოს მრევლის მოძღვარმა, თავწყაროს მონასტრის სიგელის საშუალებით. როგორც სიგელში იყო ნაჩვენები აღმოსავლეთით 5-6 ადლის სიშორეზე მონასტრის კედლიდან ამოვიღე მიწიდან სამი ჯვარიო: ერთი ლაშა გიორგისაან შეწირული, უკვე ცნობილი მთელ საქართველოში ლ ა შ ა რ ი ს ჯ ვ ა რ ი ; მეორე თამარ მეფისა და მესამე თავწყაროსიო. ერთი ამ ჯვართაგანი, სახელდობრ ლაშარის ჯვარი, მე ჩემის თვალით ვნახე. ეს ჯვარი ზაბახიძეს გადაეცა თამარ-მეფის ბერის ილარიონისათვის. ეს ჯვარი იქნება თავის ტარიანად არშინნახევარი. ტარი ვერცხლით საუცხოვოდ არის მოვარაყებული. ჯვარი ვნახე მაღაროსკარში ოქრომჭედელ დავით ჯანაშვილთან, სადაც ბერ-მონაზონ ილარიონს მოეტანა გასაკეთებლად, რადგანაც ტარი ჰქონდა მოტეხილი. უნდა მამა ილარიონს შევნიშნოთ, რომ მან ამ ჯვარის აქეთ-იქით ხურჯინით ზიდვაზე რომ ხელი აიღოს, ურიგო არ იქნება. სწორედ ამ ხურჯინის ბრალია, რომ ჯვარს ტარი მოსტყდა და გახდა მჭედლების საკეთებელ მასალად.

მე კარგად ვიცი, რომ ამ ერთი კვირის წინად ბერმა ილარიონმა ჩამოიტანა ქალაქში ეპისკოპოსის ანტონთან. მე ასე ვფიქრობ, რომ ჯვარი თავის ადგილას უნდა იყოს და ვისაც იმის ნახვა ჰსურს, მიბძანდეს და ადგილობრივ ინახულოს. მამა ილარიონს შეიძლება მოსკოვიდან და პეტროგრადიდნაც მოუვიდეს რუსის ეპისკოპოსების და არქიელების ბრძანება, ლაშარის ჯვარი წამოიღე და თვალით გვიჩვენეო. მაშ იქაც უნდა გააქანოს ? არა, მე როგორც შვილი ამ თემისა, რომელსაც ჯვარი ეკუთვნის და, მაშასადამე, სრული უფლების მქონებელი, მოვითხოვ, რომ ბერმა ილარიონმა ლაშარის ჯვარი თავის ადგილას მიიტანოს და დაასვენოს და აქეთ-იქით საჩვენებლად არ ატაროს, რადგან ამისთანა ნივთის მატარებელს ხიფათი თან დასდევს.